საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№480 2016 წლის 30 ნოემბერი ქ. თბილისი

გ. ბუაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორად დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის N558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის N10 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 5^1 პუნქტის შესაბამისად, დაინიშნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **გალაქტიონ ბუაძე** საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორად 2016 წლის 30 ნოემბრიდან.

გიორგი კვირიკაშვილი